„თვითმმართველობა უეჭველი წამალია ხალხის ყოველგვარის საჭიროებისა. საცა უნდა დარგათ, იგი ყველგან ხეირობს... ყოველი სახელმწიფო, რომელიც ნესხედ ყოფით თუ ბევრად დაძდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ ძლიერი და პატრონობა ადვილი იყოს."
ი. ჭავჭავაძე

ხობის მოამბე

№4 (7179)
29 მარტი,
პარასკევი, 2024 წელი
გაზეთი გამოდის 1932 წლის 12 ივლისიდან
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

გ ი ლ ო ც ა ვ თ !
სულ ასეთი წარმატებებით გევლოს სრულიად საქართველო!

2024 წელი, 26 მარტი, საქართველო—საბერძნეთი (4:2).
ფეხბურთის ეროვნულმა ნაკრებმა ისტორია დაწერა. საქართველოს ნაკრები ისტორიაში პირველად, ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს!

მისი მეტოქეები თურქეთის, პორტუგალიის და ჩეხეთის ნაკრებები იქნებიან.
ევრო 2024 წლის 14 ივნისიდან 14 ივლისის ჩათვლით გერმანიაში გაიმართება.

საქართველო ევროპაზეა!

ზვიად გამსახურდია—85

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში 1939 წლის 31 მარტი მნიშვნელოვანი თარიღია. სწორედ 31 მარტს დაიბადა საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, მწერალი, მთარგმნელი, ესეისტი ბატონი ზვიად გამსახურდია. დღეს იგი 85 წლის გახდებოდა.

ზვიად გამსახურდია იყო სოლომონ დოდაშვილის, დიმიტრი ყიფიანის, ალექსანდრე ორბელიანის, ალექსანდრე ბატონიშვილის, ილია ჭავჭავაძის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, კოტე აფხაზის, ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, პავლე ინგოროყვას და სხვათა იდეების ღირსეული მემკვიდრე.

ზვიად გამსახურდია თექვსმეტი წლის იყო პირველად რომ დააპატიმრეს, მას შემდეგ სიკვდილამდე მოუსვენრად იცხოვრა. „ადამიანში არის რაღაც, რასაც ვერაფრით შეცვლი, ალბათ ესაა ბედისწერა, მე არასოდეს მიფიქრია სხვაგვარ ცხოვრებაზეო“,–წერდა იგი თავის სულიერ ძმას მერაბ კოსტავას. ზვიად გამსახურდია გამოუსწორებელი მეამბოხე გახლდათ, მაგრამ ამ ტვირთისგან გათავისუფლება არასოდეს უცდია. თავისუფლება, როგორც ამ ქვეყნად არსებული უმაღლესი ღირებულება, კვლავ დამკვიდრდა ჩვენს ეროვნულ შეგნებაში. ეს ფაქტი კი სამარადჟამოდ უკავშირდება მის სახელს.

1907 წელს მეოცე საუკუნის დადგომიდან მეშვიდე წელს, მოკლეს ილია ჭავჭავაძე, 1993 წელს კი მეოცე საუკუნის დასასრულამდე შვიდი წლით ადრე დაიღუპა ზვიად გამსახურდია. არის ამაში სიმბოლური დამთხვევები. ზვიად გამსახურდიამ გაიარა ყველა საფეხური, რასაც გადიან ქრისტეს გზაზე შემდგარი ადამიანები.

იგი დევნილი იყო სიყრმის ჟამს, დევნილი იყო სტუდენტობის დროს. ახალგაზრდობაში, დევნილი იყო როგორც მწერალი, პარადოქსი ის არის, რომ სიკვდილშიც დევნილია... იდუმალებითაა მოსილი მისი აღსასრულიც, ტანჯვით აღსავსე მისი უკანასკნელი დღეები,–წერდა თავისი თანამებრძოლი ლიტერატორი თემურ ქორიძე.

ზვიად გამსახურდია ერთ-ერთი ის პიროვნებაა, რომელსაც თავისი თანამედროვეობა უსასტიკესად მოექცა. მთელი მისი ცხოვრება არის მოწამეობრივად აღსრულებული ეროვნული გმირის ცხოვრება, რომელიც „სიყრმიდანვე აეყოლებინა ქართვლის ბედს“.

დიდი კონსტანტინე გამსახურდია თავის დროზე ილია ჭავჭავაძესთან დაკავშირებით შენიშნავდა, რომ ილია იყო ჩვენი ერის ტრაგიკული ისტორიის დრამატურგიც, რეჟისორიც და მთავარი პროტაგონისტი, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს სიტყვები ასეთივე სიზუსტით მიესადაგებოდა ზვიად გამსახურდიას. დიახ, იგი იყო მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ტრაგედიის დრამატურგიც, რეჟისორიც და მთავარი პროტაგონისტიც.

ყველა დროს, თუნდაც ეპოქას ჭირდებოდა შემძახებელი, რომ საღათას ძილს არ მისცემოდა ერი, სწორედ XX საუკუნის მეორე ნახევრის ასეთ პიროვნებად მოევლინა ზვიად გამსახურდია.

მის დიდებულ სახელს უკავშირდება 1991 წლის 31 მარტს საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის ჩატარება, რომლის საფუძველზე გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, ხოლო საქართველოს ისტორიაში ქვეყნის პირველ პრეზიდენტად 26 მაისს არჩეულიქნა ზვიად გამსახურდია.

„წიწამურთან რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა დასრულდა დიდი“,– წერდა გალაკტიონი. ასევე დასრულდა „მთელი ეპოქა“ ზვიადის სიკვდილის შემდეგ.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, უკეთეს დროს, ანდა ისევ და ისევ გონებას მოვუხმოთ და ნაბიჯ-ნაბიჯ ვიაროთ გაერთიანებისკენ, რომლის დევიზი იქნება „საქართველო უპირველეს ყოვლის!“

ზვიად გამსახურდიას პიროვნების შეფასებას დრო სჭირდება, გაივლის ჟამთა ქარტეხილები, როგორც ყველა დიდ, ამავდროულად რთულ პიროვნებას, დრო ღირსეულ ადგილს მიუჩენს ქართველი ერის ისტორიაში.

ბეჭან ნადარაია.

ზვიად გამსახურდიას სახელობის სახლ-მუზეუმი ძველ ხიბულაში

18 მარტს, საქართველოს რესპუბლიკის ხობის რაიონის პირველი პრეფექტი, ბაზონი თენგიზ ქაჯაია დაბადებულა...

27 წლის ასაკში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიერ დაინიშნა ამ თანამდებობაზე და მას გადასცა პრეფექტის მოწმობა №01.

თენგიზ ქაჯაია გმირულად დაეცა დედასამშობლოს მტრებთან და მოღალატეებთან ბრძოლაში 1991 წლის 30 დეკემბერს.

დაკრძალულია ხობში, სოფელ საჯიჯაოში.

ჩვენი მოლოცვა ბატონ გოგი ბუკიას

მრავალ „ჭირვარამგამოვლილ“ გაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქციას წლების განმავლობაში ბევრი ავტორი და მეგობარი ჰყავდა, მაგრამ დროის მდინარებამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, სადღეისოდ რამდენიმე თუ შეგვინარჩუნა, თუმცა, მათი ადგილი სხვებმა შეავსეს...

დროის გამოცდასშერჩენილთა შორისაა ბატონი გოგი ბუკია–საიმედო მეგობარი, გამოცდილი პარტიული და სამეურნეო მუშაკი. სანიმუშო, გამორჩეული ოჯახის მამამთავარი, მეუღლე, მამა და ბაბუა.

რაც ჩვენთვის გულგასახარია, მიუხედავად ასაკისა, კვლავ საღად მოაზროვნე, კარგი კალმოსანი და რაც, საუბედუროდ, დღეს არც თუ იშვიათია, საუკეთესო მკითხველი და შემფასებელი...

მართალია, წლებმა დაათოვა, მაგრამ როგორც თავად გვეტყვის, თურმე გული არ ბერდება, ალბათ, ამიტომ ცხოვრობს ქვეყნის ტკივილითა და სიხარულით.

86 წელიწადი აწევს მხრებზე, მაგრამ არ ამძიმებს, ემსუბუქება და მყარად დგას იქ, სადაც უნდა იდგეს ჭირისუფლობაში გამოცდილი ადამიანი, როცა თავის ქვეყანას და ხალხს ჭირდება.

ჩვენც უკვე ასაკოვნები, ვესიყვარულებით და ვეფერებით არა მარტო მას, არამედ მისი გამორჩეული ხელწერით ნალოლიავებ სტრიქონებს და უცვლელად ვაზიარებთ გემოვნებიან მკითხველს.

როცა ბატონი გოგი (გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი) რედაქციის ზღურბლს გადმოაბიჯებს, გვიხარია, ზოგჯერ „გვასიამოვნებს“, სამზეოზე გამოტანილი ახალი ნომრის მოწონებით, ზოგჯერ „საყვედურებით“ აგვავსებს, მაგრამ ვგრძნობთ, რომ იგი გულისგულიდან გადმოღვრილი სითბოთი და სიყვარულითაა ნაკარნახევი, რისთვისაც ვემადლიერებით და სიყვარულს, სითბოს არ ვუგვიანებთ.

მიუხედავად ყველაფრისა, მას იუმორის გრძნობა არასდროს ტოვებს, ანეგდოტებითაც გვახალისებს...

აპრილის 14-ში დაბადებულა ხეთაში, ვენერა ლატარიას და მაკარ ბუკიას დიდსულოვან ოჯახში, ეამაყებოდა დიდებული და-ძმა–გორიკო და გულიანა ბუკიები (აცხონოს უფალმა მათი სულები). მათ მისაბაძ და-ძმობაზე ხშირად ყვებიან დღეგრძელი ხეთელები.

სასიამოვნოა იმის თქმაც, რომ ეს ტრადიციული ურთიერთობები მათ შთამომავლობაში დღესაც გრძელდება.

ბატონი გოგი და ქალბატონი ზაირა ჯანჯღავა (ცნობილი მოსამართლის, ცხონებული დავით ჯანჯღავას ქალიშვილი), არა მხოლოდ საზოგადოებრივ, არამედ პირად ცხოვრებაში გამორჩეულნი გახლავთ. ექიმი ქალიშვილის და იურისტი ვაჟის ოჯახებით, მათი ცხოვრებით და საზოგადოებრივი საქმიანობითაც მხრებგამართულნი და ამაყნი (და არა ქედმაღალნი)... რძალ–სიძით, შვილიშვილების განათლებითა და საქმიანობით გულსავსე ბატონი გოგი ახლა იმ ასაკშია, სანატრელი ჯანმრთელი და ხანგრძლივი სიცოცხლის გარდა სხვა არაფერი ჰქონდეს, მაგრამ საქვეყნო საქმეც არანაკლებ ეფიქრება...

ჩვენი, მისი მეგობრების დიდი სურვილია, დიდხანს გვყავდეს მხნედ, ჯანმრთელად, სიყვარულით გარემოსილი...

თქვენ და თქვენი ოჯახის აპრილში დაბადებულ წევრებს გილოცავთ, ბატონო გოგი!

იხარეთ და იბედნიერეთ...

რედაქციელების სახელით
მერი ლაგვილავა.

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების ქრონიკები

ხობის კულტურის სასახლის დიდ დარბაზში, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თოჯინების თეატრის სპექტაკლის -„სოფლის ბინადარნი” პრემიერა გაიმართა.

როლები ოსტატურად მოირგეს და პატარებს დაუვიწყარი ემოცია აჩუქეს: თამარ მირცხულავამ, გიორგი ლატარიამ, დავით ჯორჯიკიამ, ბარბარე სოსელიამ, ლიზი ძალამიძემ და ირაკლი ძიძავამ. სპექტაკლი, რეჟისორმა მანანა შამათავამ დადგა.

სპექტაკლს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბერაია ესწრებოდა.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ პატარებმა, სპეციალურად მათთვის მოწყობილ სივრცეში, თოჯინებთან ფოტოები გადაიღეს.

დედისა და ქალთა დღეს მიეძღვნა

სასიამოვნო სითბოთი და სიყვარულით აღინიშნა გაზაფხულის დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონისძიება „საბავშვო დილა“ პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარი ქეთინო გვასალია), რომელიც დედის, ქალის დღესასწაულთა მადლით იყო გამთბარი.

საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ლურჯი იების, ფურისულების, ყოჩივარდების, ნარცისების, მიმოზების ღიმილით, ლიტერატურულ–მუსიკალური კომპოზიციით „ქალი–მსგავსი გაზაფხულის“ მოვიდა დედისა და ქალთა დღე, რომელიც საჯიჯაოს კულტურის ცენტრის წამყვანი სპეციალისტის ქეთევან კაკაშვილის, ბიბლიოთეკარის მაია უბილავას და ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველების ინიციატივით შედგა.

საღამოს უაღრესად ამაღელვებელ განწყობას ერთვოდა ესთეტიკურად სასიამოვნო გარემო და გაზაფხულის ნაზი სურნელი.

14 მარტს, ხობის მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლში აღინიშნა მათემატიკის საერთაშორისო დღე, სადაც მათემატიკის წრის წევრები მონაწილეობდნენ, ღონისძიებას წრის ხელმძღვანელი ლელა ნანეიშვილი უძღვებოდა.

ნაირა ბერაია,
ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის წამყვანი სპეციალისტი

არქივიდან

სახელოვანი წინაპარი

მეტად დიდია თედო სახოკიას ღვაწლი ქართული ლიტერატურის წინაშე. იგი იყო მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი, ფოლკლორისტი, მისი წერილები, ნარკვევები, თარგმანები იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ ენებზე. ფასდაუდებელია მის მიერ შედგენილი ლექსიკონი ქართული „ხატოვანი სიტყვა-თქმანი".

მან ქართულ ენაზე აამეტყველა ბოკაჩოს, ვოლტერის, მოპასანის, ემილ ზოლას, ბოროზდინის და სხვათა ნაწარმოებები. თედო სახოკიამ უდიდესი მემუარული ლიტერატურა დაგვიტოვა, რომელსაც ჰქვია „ჩემი საუკუნის ადამიანები", „როგორ ვიზრდებოდით ძველად", „მოგზაურობანი" (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი)...

14 მარტი დიდი მწერლის დაბადების დღეა, საჭიროდ ჩავთვალეთ რედაქციის არქივში შემონახული გაზეთ „სამეგრელოს" 1998 წლის მარტის ნომერში თედო სახოკიას 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სტატიები დაგვებეჭდა, რადგან მომავალმა თაობამ უკეთ გაიგოს ვისი „გორისანი არიან" და ამით კიდევ ერთხელ პატივი მიგვეგო ჩვენი მუნიციპალიტეტის სახელოვანი წინაპრის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

საგაზეთო მასალას ვბეჭდავთ უცვლელად.

ჭეშმარიტი მამულიშვილი

1868 წლის (2(14) მარტი იღბლიან დღედ ჩაიწერა სოფელ ხეთის (მაშინ ზუგდიდის მაზრის) ისტორიაში. ბავშვის ცოცხალმა და ენერგიულმა ტირილმა ამცნო ანდრო კუკავას ოჯახში სახოკიების საგვარეულოს, რომ ახალი სიცოცხლე მოევლინა ქვეყანას–ეს თედო სახოკია გახლდათ. იგი ბაბუის (დედით) სახლში დაიბადა. მის გაჩენას თოფის სროლითა და აღტაცების გამომხატველი შეძახილებით შეხვდნენ.

სამეგრელოში გავრცელებული ჩვეულებისამებრ ბავშვი გაუძიძავებიათ, რადგანაც მაშინ „კეთილშობილი ოჯახის ქალის მიერ შვილის გაზრდა საძრახ საქმედ ითვლებოდა". გაძიძავებისას, ძიძად, ერთი კლასით დაბლა მდგომი, ღირსეული ოჯახის წარმომადგენლებს ირჩევდნენ და აი, სწორედ ასეთად ჩათვალეს სოფელ ბიიდან (კოტიანოხორიდან) უთუთია იოსავა და მისი მეუღლე–ირინე ლატარია. მათთან იზრდებოდა მომავალი მეცნიერი 3 წლამდე და იქ შეთვისებული ცხოვრებისეული გამოცდილება და უშუალობა შემდგომში პირადი თუ შემოქმედებითი ურთიერთობების დროს, მარგალიტებად ააციმციმა. უკვე ასაკში შესული თედო სახოკია ამ წლებს და ყველაფერს, რაც დედულეთთან და ძიძასთან აკავშირებდა, განსაკუთრებული სისათუთითა და სითბოთი აღწერს. მისი ყურადღება ეპყრობა ყველაფერს, რაც კი შეიძლებოდა მომხდარიყო „კაკლის ხის ძირას".

3-დან 5 წლამდე ასაკში თ. სახოკიას ოჯახი ქ. სოხუმში ცხოვრობდა. მისი პირველი მასწავლებელი პოლონელი ქალი გახლდათ და მან ბავშვის სწავლება მისთვის სასურველ ენაზე წარმართა. ეს ენა რუსული იყო. უკვე „მთიელთა სკოლის" მოსწავლეს, 6 წლისას, დედა გარდაეცვალა და ამ პერიოდიდან დედით ობლობის მწარე ტკივილით გაატარა სწავლაცა და ცხოვრებაც.

1876 წლის მაისში რუსეთ-ოსმალეთის ომის გამოცხადებას თან მოჰყვა სოხუმის დაცარიელება, რაც გამოიწვია ოსმალეთის ჯარის დესანტების ამ და მიმდებარე ადგილებში გადმოსხმის საშიშროებას. ტიმოთე სახოკიამ–თედოს მამამ, თავისი ოჯახით მოაშურა თავის სახლს სოფელ ხეთაში, სადაც თედოს ბიძა–ექვთიმე ცხოვრობდა. თედოს აღწერით, ამ რომანტიულ ადგილას ათასნაირი წარმოდგენები შეუქმნია მის შეგნებაში და ასაკში ყოფნის დროსაც კი, წარუშლელად ჩარჩენილან მხცოვანი საზოგადო მოღვაწის გონებაში.

სოფ. ხეთაში ჩამოსულმა ტიმოთე სახოკიამ გადაწყვიტა მისი შვილი მშობლიურ ანბანს ზიარებოდა და მიაბარა მათი სახლიდან 4 კილომეტრის მანძილზე დაშორებულ სკოლაში და ლარჩვის სამგანყოფილებიანი სკოლის მასწავლებელს–ზოსიმე ჩაჩუას თხოვა, ესწავლებინა რუსულის „მცოდნე" პატარა თედოსთვის ჩვენებური („ჩქინობურა") ქართული, მაგრამ ამის ნაცვლად მოხდა პირიქით. თ.სახოკია გახდა ადგილობრივი ზოგი მასწავლებლისა და მოსწავლის რუსულის „მასწავლებელი". ქართულის სწავლის საკითხი ვერც მღვდელმა–შიო იოსავამ გადაჭრა. ამის გამო, თედო სახოკია მარტვილის სასულიერო სასწავლებელში მე-2 მოსამზადებელის ნაცვლად I მოსამზადებელში დასვეს და როგორც თვითონ იგონებს „შერცხვა".

თედო სახოკია, ქართული ენის მადლს შემდგომში ცნობილმა პიროვნებამ და განსაკუთრებული მადლით ცხებულმა ბესარიონ ხელაიამ–მაშინ III კლასის მოწაფემ, შემდგომში კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აზიარა. ამ კეთილშობილი ადამიანისა და მისი ძმის–გიორგის მეგობრული დახმარებით თედო სახოკიამ 2 კვირაში უმტკივნეულოდ შეასწავლა წერაც და კითხვაც.

თედო სახოკიას განათლებაში, გარდა დასახელებული ადამიანებისა, მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანიათ ისეთ ცნობილ პირებსა და საზოგადო მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ: პოლიევკტო კვიცარიძე, ვასილ ბარნოვი და ამბროსი ხელაშვილი. როგორც თ. სახოკია წერს, ეს სამი კაცი იყო ის ადამიანი, რომელიც ავიწყებდა მოსწავლეებს იმ ტანჯვას, რომელსაც განიცდიდნენ სწავლების დროს სასწავლებელში. თ. სახოკია ამ პერიოდიდან იწყებს უკვე გაბატონებული უხეში აზრისა და ჩვევების წინააღმდეგ ბრძოლას.

1884 წელს, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, თ. სახოკიამ სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამ სასწავლებელში სწავლის გაგრძელება მრავალთათვის აუხდენელი ოცნება იყო. აქ გაეცნო თ. სახოკია ცნობილ ადამიანებს–შიო დედაბრიშვილს, იოსებ ლაღიაშვილს, ალექსანდრე ჟორდანიას და მათთან ერთად „ახალი მიმართულების" იდეების მქადაგებლობასა და დანერგვას შეუდგა, რის გამოც მრავალჯერ იწვნია უკმაყოფილება. სოციალისტური იდეებისა და თვით მოძრაობისადმი მისმა ლტოლვამ გააღიზიანა სემინარიის რექტორი. თ. სახოკიამ, აღმოუჩინეს რა მას დამალული პ. ფეიფერის „კოოპერაცია", „ნებაყოფლობით" დატოვა სასწავლებელი და ანთიმოზ ჯუღელის რჩევითა და დახმარებით წავიდა საზღვარგარეთ. იგი ჯერ შვეიცარიაში ჩავიდა, ჟენევაში, სადაც ცნობილი მთარგმნელი ფრანგული ლიტერატურისა–ივანე მაჭავარიანი დახვდა. თ. სახოკიამ, მისი დახმარებით შეისწავლა ფრანგული ენა და შევიდა უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ნაწილზე, სადაც მოისმინა გამოჩენილ ანთროპოლოგ-კარლო ფოხტის, გამოჩენილი მეცნიერის–გრებეს ლექციები.

1887 წელს, მამის გარდაცვალების გამო, თ. სახოკია იძულებული გახდა შინ დაბრუნებულიყო. სახსრების მომაგრების შემდეგ, ისევ წავიდა შვეიცარიაში და იქიდან პარიზში, სადაც სორბონის უნივერსიტეტის ისტორიულ განყოფილებაში შევიდა, აქაც ვერ დარჩა დიდხანს უსახსრობის გამო. 1889 წელს კვლავ სამშობლოში დაბრუნდა და ქართლის ერთ-ერთ სოფელში დაიწყო მუშაობა ქართული ენის მასწავლებლად, როგორც თ. სახოკია იხსენებს, აქ მიხვდა იგი, რომ ქართულის ცოდნით თავის გამოჩენისგან, რბილად რომ ვთავათ, შორს ყოფილა. ქართველი ხალხის ზეპირსიტყვიერებამ, „მრავალფეროვანმა და ამოუწურავმა ზღვამ ხალხის სიბრძნისამი ღრმად ჩააფიქრა მეცნიერი და ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა, ქართულ ანდაზათა შეკრებისა და მეცნიერული შესწავლის სურვილით შთააგონა. ამ ეროვნულმა საქმემ მრავალი სხვა პრობლემაც დაანახა მას. 1894 წელს თ. სახოკია დაპატიმრებულიქნა „საქართველოს განთავისუფლების ლიგის" პოპულარიზაციის მცდელობაში ბრალის დადების საბაბით. 3 თვის შემდეგ განთავისუფლებულიქნა. ამ პერიოდიდან მას უკვე ჩამოუყალიბდა აზრი იმის შესახებ, რომ ნებისმიერი საშუალების გამოყენებით გაეტანა ხალხში ნათელი იდეები და მიძინებული ერი დაეხსნა ცარიზმის რუსიფიკატორული რეჟიმის ბატონობისგან. ამ მიზნით, მუშაობდა ვალერიან გუნიას „ცნობის ფურცელში", ჟურნალ „მოამბეში", სადაც მის ცნობილ „მოგზაურობათა" წარდგენა ხდებოდა მკითხველთათვის, თარგმნიდა განსაკუთრებით ინტენსიურად ისეთ წიგნებს, რომლებიც ქართველ ხალხს დაანახვებდა „თავის პოლიტიკურად დამონებულ მდგომარეობას, მთელს სიმძიმესა და გაუსაძლისობას ამ მდგომარეობისას და დაუბადებდა კირთებისგან თავის დაღწევის ძებნისა და კისრიდან მონობის უღლის გადადების ზარს. ეს წიგნები იყო მაგ: „განთიადი"–პოლონელი მწერლისა–ეჟის, ივანოვიჩის–„მებრძოლნი და წამებულნი ბულგარეთის თავისუფლებისთვის", ივანე ვაზოვის–„დამონებულნი" და ა.შ.

1898–1900-იან წლებში თ. სახოკია სოხუმში გადავიდა საცხოვრებლად და მთელი თავისი არსებით თავდაუზოგავად დაიწყო ბრძოლა იმპერიალიზმისა და „გამარუსებული პოლიტიკის" გატარების წინააღმდეგ. ამ და სხვა პროგრესული იდეების გათვალისწინებით იბეჭდებოდა თ. სახოკიას წერილები გაზეთ „სანპეტერბურგსკაია ვედომოსტში" რუსულად, რომელთა მხარს უჭერდა სოხუმის ოლქის მორწმუნე ქართველების სასარგებლოს რუსეთში გავლენიანი პირი, ცნობილი ქომაგი საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალიისა–ნიკდურნოვო.

თ. სახოკიამ მიიღო მონაწილეობა და მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელობითაც კი გატარდა ისეთი რთული პოლიტიკური საქმიანობაც, როგორიც იყო ქალაქის თავის არჩევნები და შედეგსაც მიაღწია.

1900 წლის თ. სახოკია პარიზს გაემგზავრა. მისი დაფინანსება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონმა იკისრა. თ. სახოკიამ მიაშურა პარიზის საანთროპოლოგო საზოგადოებასთან დაარსებულ უმაღლეს სკოლას, სადაც 4 წლის განმავლობაში ისმენდა გენიალურ მეცნიერთა–შარლ ლეტურნოსა, ანდრე დეფერვოსა და სხვათა ლექციებს, რომლებსაც უკვალოდ არ ჩაუვლია. 1903 წელს თ. სახოკიას მიერ საანთროპოლოგო საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე წარმოდგენილი თემა ჩვენი ხალხის სახალხო მკურნალობის ერთ-ერთი სახის–„ბატონებისა" („ყვავილი") და მისი მოვლის შესახებ, ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტორია. ამ მოხსენების შემდეგ იგი ანთროპოლოგთა საზოგადოების საზღვარგარეთულ წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს და „ხსენებული მოხსენება ცალკე იქნა გამოშვებული. პარიზშივე თ. სახოკიამ დაბეჭდა ქართული ანდაზები და ქართველი ხალხის სიბრძნის მსოფლიო არენაზე გატანას შეუწყო ხელი.

თ. სახოკია პარიზში გარდა ლიტერატურული საქმიანობისა, სხვა საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა, აქ ჩასვლისას მას დახვდა ცნობილი სოც-ფედერალისტი არჩილ ჯორჯაძე. თ. სახოკია მასთან ურთიერთობით „სრულიად ბუნებრივად და მექანიკურად" შეუერთდა მის იდეებს და დაიწყო „გარუსების წინააღმდეგ ბრძოლა", რისთვისაც ხშირად განიცდიდა დევნას. რამდენიმეჯერ დაპატიმრებული და განთავისუფლებული თ. სახოკია მაინც არ თმობდა პოზიციებს.

საფრანგეთში ყოფნისას და იქ მოღვაწეობის შემდეგ თ. სახოკია ეწვია ინგლისს, შვეიცარიას, ბელგიას, იტალიას. ქართულმა ხასიათმა თავისი გაიტანა და იტალიაში ყოფნისას მიღებულმა სულიერმა სიახლოვემ ამ ხალხთან, თ. სახოკიას მეტი საქმიანი დატვირთვა ააღებინა ხელში, იტალიაში ეწეოდა თ.სახოკია თანამშრომლობას ცნობილ საეკლესიო ისტორიკოს კათოლიკე მღვდელთან–მიხეილ თამარაშვილთან.

თ. სახოკია დაუღალავად ეწეოდა მუშაობას პრესის სხვადასხვა ორგანოებში, მარტო „ივერიაში" 164 სტატია გამოუქვეყნებია. დიდი ეროვნული საქმეები ერთმანეთს ენაცვლებოდა, საქმეს საქმე მოსდევდა და თ. სახოკიაც დაუღალავად განაგრძობდა მოღვაწეობას. მისი დახვეწილი პიროვნება დახვეწილ შემოქმედებით ნიმუშებს „შობდა" და საშვილიშვილოდ, სამერმისოდებდა სალ კლდეებს ჯებირად თ. სახოკიას იმედი გაუმართლდა. იგი წერდა: „იმედი მაქვს, შთამომავლობამ ღოცვა-კურთხევით მოიხსენიოს თავისი წინაპარი, რომელსაც თავის სიცოცხლის მიზნად მიაჩნდა სამშობლოსა და მშობელი ერის საკეთილდღეოდ გარჯა და შრომა, გააკეთა ის, რის გაკეთებაც ძალუძდა".

დიახ, შთამომავლობამ გაუგო დიდ წინაპარს და ღოცვა-კურთხევით ამბობს: „დაილოცოს შემოქმედის მარჯვენა".

ნინა ბუკია,
საბრძოლო დიდებისა
და მხარეთმცოდნეობის
მუზეუმის დირექტორი.
1998 წელი

სახელოვანი წინაპარი

არქივიდან

დიადი გამობრწყინება თავისუფალი ქართული სულისა

თედო სახოკია დიდი ილია ჭავჭავაძის მიერ ერის მსახურად ხელდასმულ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის.

ყოველ დროში და ყოველ ქვეყანაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, მაღალი გრძნობა-გონების მქონე მისი შვილები შეძლებდნენ თუ არა ეროვნული ენერგიის მდინარებაში ჩართვას. თედო სახოკიამ ეს ჩინებულად შეძლო და შეძლო უპირველესად, ღვთიური ნიჭით, დაუცხრომელი მამულიშვილური ღვაწლითა და ალღოთი, შეძლო იმის გამოც, რომ მისი დროის საქართველოს ჯერ კიდევ დაჰყურებდა ფხიზელი თვალი ილიასი და მისი თანამებრძოლებისა: აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა ფშაველასი; მთელი ქვეყანა დიმიტრი ყიფიანის თავგანწირვით მოხიბლულიყო...

დიახ, გასული საუკუნის 80–90-იანი წლები იდგა; თედო სახოკია სამოღვაწეოდ გამოდიოდა, ის ხედავდა, რომ მისი სამშობლოს სახელი წაშლილი იყო პოლიტიკური გეოგრაფიის რუკაზე, ქართული ენა განდევნილი იყო ადმინისტრაციული დაწესებულებებიდან, სასამართლოდან, საშუალო სკოლიდან, მეფის მთავრობა ერთმანეთს უპირისპირებდა ქართულ-კახელებს, იმერლებს, მეგრელებს, აფხაზებს; შემუშავებულიქნა პროექტი, რომლის მიხედვით ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ენა უნდა გაძევებულიყო სამეგრელოს ეკლესიებიდან, ხოლო დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის ნაწერები ამოღებულიყო პირველდაწყებითი სკოლების პროგრამიდან. თედო სახოკია უშიშრად და შეუდრეკლად შეებრძოლა ამ უკუღმართ პოლიტიკას. მისი დამსახურება ქართველი ერის მთლიანობისა და თვითშეგნების განმტკიცებაში დაუფასებელია (გ. ქიქოძე).

ჩემი მიზანი არ არის თედო სახოკიას ბიოგრაფიის თანმიმდევრული გადმოცემა, მაგრამ წინ წამოვწევთ იმ მომენტებს, რომლებიც მიმართულებას აძლევდნენ მომავალ გზებს.

1877 წელს თედო სახოკია მარტვილის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. აქაურ შეგირდებს სიცოცხლე ჯოჯოხეთად ჰქონდათ გადაქცეული. უსაზღვრო სიდუხჭირის, შიმშილისა და სწავლების უკუღმართი წესების გამო.

„მოწაფეთა უმრავლესობა,–იგონებს თედო სახოკია,–ტანჩაუცმელები და თავი და თავი მშივრები ვიყავით. გვშიოდა 24 საათის განმავლობაში. გვშიოდა კლასში, გვშიოდა ბინებზე, გვიშიოდა ძილში, გვშიოდა ღვიძილში...“

თედო სახოკიას ეხმარებოდა არაჩვეულებრივი ნებისყოფა, ოპტიმისტური ბუნება: „უნდა მომეგონებინა ათასნაირი ხერხი, რომ ამ ცხოვრებას არ დავეჯაბნე, არ გავეთელე... გადავწყვიტე უნდა ვეცადო, როგორც გარემოება ნებას მომცემს, როგორც ჩემი პატარა ძალღონე შემაძლებინებს ისე ვებრძოლო ცხოვრების პირობებს ჩემდამი შეუბრალებლად მომართულს“.

სემინარიელთა შავ-ბნელ ცხოვრებაში ნათელ მოგონებად შემოვიდნენ საყვარელი მასწავლებლები ვასილ ბარნოვი, ამბროსი ხელაშვილი, პოლიევექტო კვიცარიძე: მათ ბავშვებს გაუხარელი დღეები გაულამაზეს, ადამიანებისადმი რწმენა ჩაუნერგეს.

თედო სახოკიას კეთილი ბუნება ვეღარ იტანდა ძალადობასა და სისასტიკეს განათლების მიღების გზაზე. მისი აზრით, ჭეშმარიტი სწავლება სიყვარულსა და ადამიანურ გარემოსთანაა წილნაყარი.

1884 წლიდან თედო სწავლას განაგრძობს თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც იწყება მისი შეხედულებების დიდი გარდატეხის ხანა. სემინარიაში ამ დროს ახალი მიმართულება მკიდრდებოდა. ერთი ხელის დაკვრით „გაანადგურეს“ „ქრისტე, ღვთისმშობელი და წმინდანები...“ სწრაფად იკიდებდა ფესვს სოციალისტური ნიჰილიზმი. თედო სახოკია ერთხანს გზაჯვარედინზე დადგა და არჩევანი გაჭირდა, რასაც მოჰყვა სემინარიიდან მისი წასვლა.

მალე თედო სახოკია შვეიცარიაში მიემგზავრება და ჟენევის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე სწავლობს, შემდეგ კი სორბონის უნივერსიტეტის საისტორიო განყოფილებაზე ირიცხება. ოთხი წელი სწავლობდა პარიზის უმაღლეს ანთროპოლოგიურ სკოლაში, სადაც უსმენდა მსოფლიოში განთქმულ მეცნიერებს.

თედო სახოკია იყო მწერალი, პუბლიცისტი, ლექსიკოლოგი, ეთნოგრაფი მთარგმნელი, ფოლკლორისტი.

მაგრამ საინტერესოა თედო სახოკია, როგორც ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელი. ის ეწევა მრავალმხრივ და მრავალფეროვან ბრძოლას სამშობლოს მტრებთან.

უპირველესად, თედო სახოკია წინააღმდეგი იყო პარტიული თვალსაზრისით ერის გათიშვისა. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი: ილიას მკვლელობის ამბავმა თედო სახოკიას სოხუმის ციხეში მოუსწრო. ის ძალზე გააოცა და აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ სოციალ-დემოკრატებმა უარი თქვეს სამძიმრის დეპეშის გაგზავნაზე გაზეთის რედაქციაში.

თედო სახოკია ერთ-ერთი ხელისშემშლელია ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკისა აფხაზეთში, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ აფხაზეთი უნდა მოეწყვიტათ საქართველოდან, ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი თედო სახოკიას მიიჩნევდნენ აფხაზეთის პრობლემათა მოგვარების საიმედო ძალად. და, მართლაც, თ. სახოკია თავდაუზოგავად მოღვაწეობდა აფხაზეთში. ის აფხაზეთის სამურზაყანოში ქმნის ქართველი ინტელიგენციის ჯგუფს, რომელიც ქართული ენისა და კულტურის დაცვას ისახავდა მიზნად რუსეთის იერიშებისგან. თედო სახოკია აქტიურად მონაწილეობს სოხუმის ქალაქისთავის არჩევნებში, რათა ქართველთათვის სასურველი კანდიდატურა გავიდეს; ესარჩლება სოხუმის პროგიმნაზიის პენსიონერ ქალებს, რომლებიც ეროვნული თავმოყვარეობის შელახვის გამო პროტესტით გამოვიდნენ.

თედო სახოკია ილაშქრებს ხალხთა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. მან, როგორც მთარგმნელმა, გადმოაქართულა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ხალხთა ეროვნულ თვითშეგნებას აამაღლებდა (მილკოვსკის „განთიადი“, ვაზოგის „დამონებულნი“...).

თედო სახოკია აქტიური თანამშრომელი იყო გაზეთ „საქართველოსი“, რომელიც 1903-1905 წლებში საფრანგეთში გამოდიოდა. ის იყო სოციალისტ-ფედერალისტების ორგანო. „გაზეთი ეწეოდა ეროვნულ-პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციის პროპაგანდას“.

დაუცხრომელი განმათავისუფლებელი მოღვაწეობისთვის თედო სახოკიას მრავალგზის აპატიმრებდნენ, სამუდამოდ აციმბირებდნენ, მაგრამ ახერხებს გამოქცევას და საზღვარგარეთ აფარებს თავს, როგორც ემიგრანტი.

მაგრამ თედო სახოკიამ თავისი ღვაწლის ძირითად საასპარეზოდ გაიხადა ქართული სიტყვა და ქართულ ფრაზაში მოზეიმე მადლი, სიკეთე „გული და ხელოვნება“, ქართველი კაცისა.

მემკვიდრეობა, რომელიც ლექსიკოლეგიაში დაგვიტოვა თედო სახოკიამ, ქართული კულტურის იშვიათ საგანძურს წარმოადგენს, მხედველობაში გვაქვს სამტომეული თედო სახოკიას წიგნისა „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, რომელიც მოიცავს 7000-ზე მეტ ერთეულს.

აღნიშნულ ლექსიკონზე მუშაობა ავტორს დაუწყია ჯერ კიდევ 1889 წელს ქართლის სოფელ ტირძნისში მასწავლებლად მუშაობისას. ხატოვან თქმათა და ანდაზებს თედო სახოკია ქართული მეტყველების შნოსა და ლაზათს უწოდებდა.

თედო სახოკიას სამტომეულში ბევრი მასალა შეესატყვისება მეგრულხატოვან სიტყვა-თქმებს, მაგალითად: „ეშმაკს არ სძინავს“, „ცის გახსნას“, „ცეცხლი უკიდია“, „უძაღლო სოფელი“, „ყურზე ძილი“... მაგრამ ლექსიკოლოგიური დამუშავების გარეშე რჩება „ჭიჭე კითიმ ონგარალ“, „ჯა-ქუა-ბორიას“. „სალამ კუბეჩიას ვერძერნს“, „თოლ ქეგიმანუ“, „თოლ გექიწკურ“, „სონ ჭიჭახე სო მიშახე“... მეგრულ ხატოვან თქმათა ნაცარწაყრილი უბანი საინტერესო სამყაროს მოიცავს და თავის ჭეშმარიტ მოღვაწეს მოელის, მოელის დროულად და მოუთმენლად.

1903 წელს პარიზში ფრანგულად გამოიცა თედო სახოკიას მიერ სამეგრელოში ჩაწერილი ანდაზები. წინასიტყვაობაში ავტორი წერდა: „ჩვენ გვსურს ფრანგ ხალხს გავაცნოთ ქართველი ხალხის საუკუნოვანი გამოცდილების გამოძახილი, მისი სიბრძნის ხმა“. რამდენიმე ნიმუში ამ ანდაზებიდან შესულია საერთაშორისო ლექსიკონში.

იმავე 1903 წელს პარიზის ანთროპოლოგიური საზოგადოების სხდომაზე თედო სახოკიამ წაიკითხა საინტერესო მოხსენება „ყვავილბატონები საქართველოში, ერთი ფურცელი ხალხური მედიცინისა“, ევროპელი მეცნიერები ძალზე ჩააფიქრა ქართული კულტურისა და მსოფლიო ცივილიზაციის ურთიერთმიმართულების პრობლემებმა.

ეთნოგრაფიული მასალებით მდიდარია მოგონებათა წიგნი „როგორ ვიზრდებოდით ძველად“, „საქორწილო ჩვეულებანი საქართველოში და სხვა.

1950 წელს პროფესორ გ. ჩიტაიას რედაქტორობით გამოდის თედო სახოკიას შესანიშნავი ნარკვევები–„მოგზაურობანი“. ის მოიცავს გურიაში, ოსმალთა უღლისაგან განთავისუფლებულ აჭარაში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში ავტორის მოგზაურობის მასალებს. მასში შერწყმულია ეთნოგრაფის, ფოლკლორისტისა და პუბლიცისტის დიდი ალღო და ნიჭიერება.

„მოგზაურობანი“ გადმოგვცემს დასახელებულ მხარეთა მოსახლეობის საწარმოო გამოცდილებას, შრომით ჩვევებს და კულტურულ ვითარებას. მონიშნულია მანამდე მთკვლევართათვის უცნობი ბევრი ენოგრაფიული მასალა.

ავტორი გზადაგზა იწერს ლეგენდებს, თქმულებებს, გადმოცემებს. ყველაზე მეტი ლეგენდა ახლადშემოერთებულ აჭარაშია ჩაწერილი და ისიც, უმთავრესად, თამარ მეფესა და დავით აღმაშენებელზე. აჭარელებს აინტერესებთ თამარის საფლავის პრობლემაც.

300 წლის განმავლობაში აჭარა ოსმალების ხელში იყო, მაგრამ თურმე ერთი დღეს არ უცხოვრია ქართული საფიქრალ-საზრუნავის გარეშე. სამეგრელოსა და სამურზაყანოში. თედო სახოკიამ ჩაიწერა ლეგენდა იესო ქრისტეს, წმინდა გიორგისა და ელია წინასწარმეტყველის შესახებ. ლეგენდის მიხედვით, წმინდა გიორგი სამეგრელოს მკვიდრის, სამურზაყანოელთა რწმენით მთავარანგელოზი მიქეილ-გაბრიელი მიქამგარიოეგრეცის მნათობთა გამგებელია და პატრონი მთისა.

თედო სახოკიას მიერ შეგროვილი და გამოკვლეული ეთნოგრაფიული კოლექციები საშუალებას იძლევა ქართული და კავკასიური პრობელმების ახლებურად გადაწყვეტის.

თედო სახოკია რამდენიმე ევროპულ ენას ფლობდა. თითოეული ქართველი იცნობს ჰიუგოს, მოპასანის, ბოკაჩოს, გარიბალდის, ბარბიუსის, ვოლტერის თედო სახოკიასეულ თარგმანებს.

თხრობის მაღალი ხელოვნება გვხიბლავს თედო სახოკიას მემუარებში. წიგნიდან „ჩემი საუკუნის ადამიანები“–სევდანარევი ტკივილით შემოდის ჩვენში ორი საუკუნის მიჯნაზე მდგარი ქართული სამყარო, ჭეშმარიტი მამულიშვილის თვალით დანახული.

თედო სახოკია სწორუპოვარი მოქართულეა. მისი ენა ზღვის შესართავად გამზადებულ წყალუხვ მდინარესა ჰგავს: მასავით მშვიდია, წყნარი და უხვი. ის არც მქუხარებს და არც წამიერი აღტაცების მომგვრელია, რადგან ღვთაებრივად გაწონასწორებული ნაზავია წიგნიერი და ხალხური სასაუბრო მეტყველებისა.

თედო სახოკიას შემოქმედებითი სამყარო ნელ-ნელა ნაზად, უხმაუროდ მოდის მკითხველში და ქრისტიანულ სიმშვიდეში გადაჰყავს ის...

თანამედროვეთა მიერ ბევრი ითქვა და დაიწერა თედო სახოკიას პიროვნებაზე. მას მრავალი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა და ღრმად მოხუციც კი ახერხებდა თითოეულისთვის გამოენახა დრო, გაეანწილებინა ყურადღება.

თითქმის ყველა ნაცნობს ახსოვს თედო სახოკიასგან სამეგობროდ გაწვდილი ხელი.

1900 წელს თედო სახოკია პარიზში შეხვდა არჩილ ჯორჯაძეს, რომელიც ღრმა სულიერ კრიზისს განიცდიდა. თედო სახოკია უშურველად დაეხმარა მას დავიწყებული ქართული ენის აღდგენაში, რამაც არჩილი სრულიად გამოაცოცხლა, გაახალისა და ახალ სამომავლო გზაზეც დააყენა.

იგონებენ უსათნოესი მოხუცის მიერ საახალწლოდ აღებული ჰონორარის ახლობლებზე დარიგების შემთხვევას. მას ახასიათებდა არაჩვეულებრივი ორგანიზებულობა.

ქართულ ინტელიგენციას ტკბილ მოგონებად დარჩა თედო სახოკიასთან გატარებული ოჯახური შეხვედრები, სადაც ზეიმობდა ფიქრი და ოცნება ქართველი ერის წინსვლის გზებზე.

სწორედ, რომ ზედგამოჭრილია თედო სახოკიასთვის ზნემაღალი და გულსრული ადამიანის ილიასეული კრიტერიუმი: „ის არასოდეს იტყოდა „ჰოს“, როცა გულში „არა“ ჰქონდა“.

სამართლიანად შეადარეს თედო სახოკიას პიროვნება უსაჩინოეს წინაპარს–გრიგოლ ხანძთელს. ორივე ანგელოზებრივი ღვაწლით აკეთებდა დიდ ქართულ საქმეს.

გადის ხანი... მათი ნაღვაწის სიკეთე კი დროთა სამანებში ვეღარ თავსდება, როგორც დიადი გამობრწყინება თავისუფალი ქართული სულისა.

ციალა სახოკია,
უმაღლესი კატეგორიის
პედაგოგი.
1998 წელი

„გამოწვევები ბევრია, ყოველი წელი კი–სიახლეებით და იმედებით სავსე!“

ნომრის სტუმარია ეკა ხასია–ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორი.

ქალბატონო ეკა, პედაგოგთა ოჯახის შთამომავალი ბრძანდებით, დედის, ქალბატონ კლავდია ხარებავას კვალს გაუყევით. კარგად მახსოვს თქვენი სკოლაში მასწავლებლობის პირველი ნაბიჯები. როგორ დაგამახსოვრდათ ხობის №2 საშუალო სკოლის თქვენი პირველკლასელები და მათთან ურთიერთობები?

–მასწავლებლობით დაიწყო ჩემი პირველი ნაბიჯები ჩემს მშობლიურ, ხობის №2 საშუალო სკოლაში, სადაც მოსწავლეობის ლამაზი და შინაარსიანი წლები გავატარე. რა თქმა უნდა, ჩემი პროფესიის არჩევაში უდიდესი წვლილი ოჯახს, დედას და იმ ადამიანებს მიუძღვით, ვისაც დიდ პატივს ვცემდი და ჩემთვის სამაგალითოები იყვნენ. თუმცა, სანათესაოში მეტი წილი მათემატიკოსები და ფილოლოგები მყავდა, ამიტომ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი სპეციალობის არჩევა, ამ საქმისადმი უსაზღვრო სიყვარული აწგარდაცვლილი, საოცარი და გამორჩეული პედაგოგის, ჩემი პირველი მასწავლებლის, დინარი ლომაიას დამსახურებაა.

ჩემი აზრით, დიდი პატივი და უდიდესი პასუხიმგებლობაა იყო მასწავლებელი, დღემდე მომყვება მასწავლებლობის, ჩემს პირველკლასელებთან შეხვედრის საოცარი შეგრძნება, ემოცია და შთაბეჭდილებები... ისინი განსაკუთრებულები და გამორჩეულები იყვნენ. მეც მათთან ერთად ვიზრდებოდი... ეს ურთიერთობები წლების შემდეგაც გრძელდება... ვამაყობ ჩემი აღზრდილებით...

დედაქალაქში იღვაწეთ, იქ განაგრძეთ პედაგოგიური საქმიანობა. რომელ სკოლაში ასწავლიდით, რამდენი წელი დაყავით იქ, თბილისში ბავშვებთან გატარებულ წლებზე რას იტყვით? განსხვავებული იყო ეს ურთიერთოები? რამდენად მნიშვნელოვანია იგი თქვენს ცხოვრებაში?

–12 წელი კერძო სკოლა „ჯიელ-სის“ დაწყებითი კლასების მასწავლებლად ვიმუშავე. არ ვუშინდებოდი სიახლეებს და გამოწვევებს, მოსწავლეებისთვის ვიყავი ავტორიტეტი. სწორედ, ჩემი კარგი მოსწავლეები სტიმულს მაძლევდნენ, რომ ჩამოყალიბებულვიყავი კარგ პედაგოგად. ქედმაღლობაში თუ არ ჩამითვლით, ვიტყვი, რომ ჩემი მოსწავლეები გამოირჩეოდნენ დისციპლინით, ცოდნის მაღალი დონითა და წიგნიერებით.

დედაქალაქსა და რაიონში მცხოვრები მოსწავლეები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებიან. თბილისელ ბავშვებს მეტი საშუალება აქვთ ახლოს შეიცნონ კულტურული სიახლეები. დადიან თეატრებში პრემიერებზე, საგამოფენო დარბაზებში, ზოოპარკში, ცირკში... თუმცა, დღეს თანამედროვე ტექნოლოგიები ამ სიახლეების გაზიარების საშუალებას რაიონის მოსწავლეებსაც აძლევს.

ჩემს ცხოვრებაში თბილისში გატარებული წლები ტკბილ მოგონებად დამრჩება. საოცარად გამორჩეული ბავშვებით, თანამშრომლებით, მშობლებით, რომლებთანაც დღესაც ვურთიერთობ...

ეკა, ვიცი ბავშვები ძალიან გიყვართ. გხიბლავთ მათთან ურთიერთობები. ხართ მოსიყვარულე, მომთმენი, თავშეკავებული, ნიჭიერი ადამიანი. რა არის თქვენი ენერგიის წყარო?

–ვთვლი, რომ სამყაროს სიყვარული ასულდგმულებს. ჩემი ენერგიის წყაროც–სიყვარულია, ზოგადად, სიყვარული ყველას და ყველაფრის მიმართ, ურომლისოდაც ვერაფერს შეეჭიდები...

ჩემი სამსახური დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. ბევრჯერ მიფიქრია ამ სირთულეზე, მაგრამ ყოველთვის მოსულა ახალი დღის ახლიდან დაწყების მიზეზი. ყოველ დღეს ახალი შესაძლებლობები და იმედები მოაქვს. ამიტომ დილას მადლიერებით ვიწყებ და ახალი ენერგიით ვივსები. ამ ენერგიას ბავშვები და საქმის ერთგულება ჰქვია.

წლებია, ხობს დაუბრუნდით, კვლავ ბავშვებთან ურთიერთობთ, თუნდაც სხვა რანგში. მართალია, არ ასწავლით, მაგრამ ვისზედაც პასუხსმგებლობას იღებთ, მათზე ზრუნვა და ყურადღება მაქსიმუმს აღწევს?

–ვთვლი, რომ ვემსახურები ყველაზე წმინდას, ყველაზე უმთავრესს, რასაც პატარებზე ზრუნვა ჰქვია. სხვაგვარად არც შეიძლება, სკოლამდელი თაობა უფრო მეტ ზრუნვასა და ყურადღებას მოითხოვს. გაკეთებული არასდროს არის საკმარისი, მაგრამ ვცდილობთ, არაფერი მოაკლდეთ... საქმე ბევრია... სწორად თქვა პედაგოგმა გაბრიელა მისტრალიმ „უამრავი აუცილებელი რამ მოიცდის ბავშვის გარდა, რადგან სწორედ ამ წამს ყალიბდება მისი ძვლები, მისი სისხლი. მისთვის პასუხი ვერ იქნება „ხვალ“, მისი პასუხია „დღეს“.

ძალიან ცნობადი სახე ბრძანდებით. გვიამბეთ თქვენს სამსახურზე...

–პირველ რიგში, საჯაროდ მინდა მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, ვინც ხუთი წლის წინ, ამ რთულ და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წარმადგინეს, მხარი დამიჭირეს და მომცეს საშუალება. ჩემი თავი ამ ურთულეს საქმეში გამომეცადა. ვემადლიერები ყველა ჩემს წინამორბედს, ვინც თავისი წილი აგური დადო სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების მშენებლობისთვის. დიდია მათი წვლილი იმაში, რომ დღეს ეს გაერთიანება ასეთი წარმატებულია...

მეტად რთული და საპასუხისმგებლოა ხელმძღვანელობდე ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებას“, რომელსაც მეტად მრავალფეროვანი ფუნქცია აკისრია. როგორიცაა, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდა და სკოლისათვის მომზადება; სწავლების შესაბამისი პროგრამების შემუშავება; კანონმდებლობით დადგენილი ნორმის ფარგლებში ბავშვთა სრულფასოვანი კვების ორგანიზება; პერსონალის პროფესიულ გადამზადებაზე ზრუნვა; დახმარების გაწევა დაქვემდებარებაში არსებული სააღმზრდელო დაწესებულებებისთვის, მათი მუშაობის ხარისხზე ზრუნვა... ყოველი დილა 25 საბავშვო ბაღის მოკითხვა-მიმოხილვით იწყება. ყოველ დღეს ახალ-ახალი პრობლემები, გამოწვევები და წარმატებები მოაქვს...

ქალბატონო ეკა, როგორ ფიქრობთ, ადამიანებთან დადებით ურთიერთობებს, კეთილგანწყობას და სიმპათიას ადვილად იმსახურებთ? როგორ?

–ყოველთვის ვარ გულწრფელი და ბუნებრივი, მიყვარს ადამიანები და ვცდილობ, მათში მხოლოდ კარგი მხარე დავინახო, ყველას გავუგო და მოვექცე ისე, როგორც მე მინდა მექცეოდნენ. ამიტომ ვფიქრობ, კეთილგანწყობა და სიყვარული არ მაკლია, ამას ყოველდღე ვგრძნობ ადამიანებთან ურთიერთობისას...

რა ხდება დღეს საბავშვო ბაგა-ბაღებში? რა სიახლეები დაინერგა წინა წელს, დღეს და ხვალ რა იქნება? რამდენი აღსაზრდელია თქვენი ფრთის ქვეშ?

–სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების ცხოვრება ყოველდღიური რუტინის მიუხედავად, არასდროს არის მშვიდი და ერთფეროვანი...

ბავშვები იზრდებიან, ვითარდებიან, იძენენ უნარ-ჩვევებს და ემზადებიან სკოლაში წასასვლელად.

ადგილობრივი მთავრობის ხელშეწყობით, საბავშვო ბაღებში სურსათის უვნებლობის სამსახურის რეკომენდაციების შესაბამისად, ჩატარდა შიდა სარემონტო სამუშაოები, მოეწყო ეზოს სათამაშო სივრცეები, გადაიხურა ქარისგან დაზიანებული შენობები, შემოიღობა საბავშვო ბაღების ეზოები...

წელს საბავშვო ბაღებში მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდება. ქვეყნის მასშტაბით გათვალისწინებული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროგრამის პირველი ეტაპის ფარგლებში ხამისკურის, ნოჯიხევის №2 და საჯიჯაოს საბავშვო ბაღები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად რეაბილიტირდება და ეს იქნება ავტორიზაციის წარმატებით გავლის წინაპირობა. საბავშვო ბაღებში ავტორიზაციის პროცესი დაწყებულია. ამ პროცესის ფარგლებში, პირველი ეტაპი, თვითშეფასების კითხვარების შევსება დასრულებულია. სრულად გადამზადებულია საბავშვო ბაღების აღმზრდელ-მასწავლებლები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის“ მიხედვით. დაგეგმილი გვაქვს მთავარი სპეციალისტებისა და აღმზრდელის თანაშემწეების გადამზადება.

ეს წელი პროდუქტიული იყო ტრენინგებით. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხობის რაიონული ორგანიზაციის დაფინანსებით, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პროფკავშირში გაერთიანებული წევრებისთვის სხვადასხვა თემებზე ჩატარდა არაერთი მნიშვნელოვანი ტრენინგი. პროფესიული ზრდა-განვითარება გრძელდება. ამ სასწავლო წელსაც საბავშვო ბაღის თანამშრომლებისთვის დაგეგმილი გვაქვს საჭირო და აუცილებელი ტრენინგები. შესაბამისად გაგრძელდება თანამშრომლობა სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებასა და სპმთპ-ს შორის, რისთვისაც უდიდეს მადლიერებას გამოვხატავთ ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის, ქალბატონ ლალი ჩიტაიას მიმართ.

სამწუხაროდ, ყოველწლიურად აღსაზრდელთა რაოდენობა მკვეთრად მცირდება, რაც ჩვენი დიდი გულისტკივილია. ამ დროისთვის სკოლამდელ საალმზრდელო გაერთიანებაში დარეგისტრირებულია 800-ზე მეტი აღსაზრდელი. სასწავლო მიზნებიდან და ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, მათთვის ხორციელდებოდა და წარმატებით ხორციელდება შთამბეჭდავი პროექტები.

გამოწვევა ბევრია... ყოველი წელი კი–სიახლეებით და იმედებით სავსე...

გაერთიანებაში მომუშავე ადამიანებზე რას იტყვით, როგორ ურთიერთობთ, ერთი შეკრული გუნდი ხართ?

ნამდვილად, ერთი შეკრული გუნდი ვართ. თითქმის ერთი ოჯახი. მეამაყება და მეიმედება ჩემი ერთგული და ძლიერი გუნდი. ეს არ არის მხოლოდ თანამშრომელთა კოლექტივი, ეს ჩემი დიდი სამეგობრო წრეა. თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული, მეგობრული, სიყვარულით სავსე ადამიანებით დაკომპლექტებული. ერთმანეთის თანადგომითა და სიყვარულით ვაკეთებთ საერთო საქმეს. ხელიხელჩაჭიდებულები მოვდივართ და ვქმნით სკოლამდელების ისტორიას. ერთობით და ერთმანეთის გვერდში დგომით კი ყველაფერი მიღწევადია. ჩვენი დევიზიც სწორედ ჩვენი ერთიანობის სიმბოლოა „ჩვენ ერთი გუნდი ვართ!“

„მადლობა“ ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვაა ჩემთვის, კეთილ საქმეებს მოსდევს ეს სიტყვა და, მიყვარს განსაკუთრებულად...

არ მინდა ეს შესაძლებლობაც ხელიდან გავუშვა და თქვენი გაზეთის საშუალებითაც მინდა მოვეფერო და უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩვენი საოცარი გუნდის თითოეულ წევრს ყოველი დღის დაუღალავი შრომისთვის, გამძლეობისთვის, მომავალი თანამშრომლობისთვის!

ეკა! თქვენს დადებით და უარყოფით თვისებებზეც გვიამბეთ, პატიება შეგიძლიათ, თუ გიჭირთ? ბოდიშის მოხდა გძალუძთ?

–რთულია საკუთარ თავზე საუბარი, ჩემს დადებით თვისებებზე - განსაკუთრებით მიჭირს, ვფიქრობ ამაზე სხვამ უნდა ისაუბროს. ჩემი ხასიათის შტრიხების დადებითი კუთხით აღქმისთვის უპირველესად მადლობა თქვენ! ჩემი ნაკლი ალბათ ის არის, რომ ადამიანებს ადვილად ვენდობი. არ ვარ მკაცრი ხელმძღვანელი. ეს შეიძლება ზოგიერთებმა სისუსტედ და ნაკლად ჩამითვალონ, მაგრამ მე ვთვლი, რომ ლმობიერებითა და თანამშრომლებთან მეგობრული დამოკიდებულებით საქმე უფრო გულიანად და სიყვარულით კეთდება... მეც ერთერთი მოკვდავთაგანი ვარ, ვისაც უხარია და სწყინს... შეცდომების გარეშე ჩემი აზრით, არ არსებობენ ადამიანები. მთავარია, შეგნებულად არ შესცოდო... ბესიკ ხარანაულს დავესესხები: „მე სიყვარულით ვივლი და შემეშველება უფალი...“

საოცარი კვირა იყო, მიტევების კვირა... ღმერთმა შეგვინდოს ყოველი შეცოდებანი ჩვენნი...

ოპტიმისტი ხართ?

–დიახ, ოპტიმისტი ვარ. მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება... მთავარია, იბრძოლო, არ დანებდე და გჯერდეს, რომ ყველაფერი კარგი, ჯერ კიდევ წინ არის!..

გაგაჩნიათ თუ არა ინტერესი იმ სფეროს მიმართ, რომელსაც ჰოროსკოპი ქვია? გჯერათ?

–მე მორწმუნე, ღვთისმოშიში ადამიანი ვარ და ჰოროსკოპების არ მჯერა. ეს უფრო გასართობი თემაა, ვიდრე მნიშვნელოვანი. მწამს მხოლოდ უფლის და მადლობელი ვარ მისი.

დაგემშვიდობებით. წარმატებები პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გმადლობთ ინტერვიუსთვის.

მსაუბრა
ნანი კილასონია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის და საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულებში მორიგი, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დაიწყო.

საგვიჩიოში:

დაიგება ასფალტის საფარი;

მოეწყობა ეზოებთან მისასვლელები.

პროექტის ღირებულება 2 მილიონ 180 ათასი ლარია.

ჭალადიდში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე:

ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ ასფალტის საფარის დაგება მიმდინარეობს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოებს ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია და მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი გიორგი იოსავა გაეცნენ.

პროექტის შესაბამისად:

დაიგება ასფალტის საფარი;

მოეწყობა ეზოებთან მისასვლელები, რკინა-ბეტონის კიუვეტები, საგზაო ნიშნები და ხელოვნური ბარიერები.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 1 მილიონ ლარზე მეტია.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებს.

ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტის შესაბამისად - ნატანი მასისგან და ხე-მცენარეებისგან იწმინდება დაიგება ასფალტის საფარი;

მოეწყობა ეზოებთან მისასვლელები და საგზაო ნიშნები;

პროექტის ღირებულება 1 მილიონ ლარზე მეტია.

საგვიჩიოში გზის რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია და მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია გაეცნენ.

საგვიჩიოსა და ჭალადიდში ამორტიზირებული გზების რეაბილიტაციას ხობის მუნიციპალიტეტის მერია ადგილობრივი მოსახლეობის წინადადების საფუძველზე ახორციელებს.

შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია და მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია გაეცნენ.

პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება არხის გამტარუნარიანობა და საკარმიდამო მიწის ნაკვეთების დატბორვის რისკი მნიშვნელოვნად შემცირდება.

სამელიორაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს „საქართველოს მელიორაცია“ ახორციელებს.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, ხობის მუნიციპალიტეტის სკოლებში დაიწყო შეხვედრების ციკლი არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების დაცვის თემაზე.

უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების თანამშრომლებმა, მერიაში გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელმა პირმა და შსს ხობის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელმა ისაუბრეს და მოსწავლეების მიერ დასმულ კითხვებს უპასუხეს.

არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების დაცვის თემაზე საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები ხობის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლაში ჩატარდება.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საკონფერენციო დარბაზში, სურსათის ეროვნული სააგენტოს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მართვის ცენტრის სამეგრელო-ზემო სვანეთის ჯგუფის უფროსი, შალვა მეტრეველი, ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დაგეგმილ ღონისძიებებზე და მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმებზე ისაუბრეს. შეხვედრაზე აღინიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებების წარმატებით განხორციელებისთვის, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის აქტიური ჩართულობა.

შეხვედრას, მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბერაია ესწრებოდა.

სურსათის ეროვნული სააგენტო მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებს მიმდინარე წელსაც გეგმის მიხედვით, რამდენიმე ეტაპად განახორციელებს. პირველ ეტაპზე განხორციელდება მავნებლის მონიტორინგი; გავრცელების არეალისა და რიცხოვნობის განსაზღვრის შემდეგ, ტემპერატურის მატებასთან ერთად, შედეგების გათვალისწინებით, განთავსდება სპეციალური სადგურები და საჭიროებისამებრ ჩატარდება წამლობა.

ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ედიტა ნანავას და ლევან ლიპარტიას ძმისა და ცოლისძმის

ირაკლი ნანავას

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

კულტურული მემკვიდრეობის მარგალიტები

თანამედროვე ხობში მრავალფეროვანი გამოფენები იმართება. შევაჩვიეთ თვალები გემოვნებიან ნაკეთობებს, ფერთა ულამაზეს შეხამებებს, ჩვენს ცხოვრებაში რომ შემოჭრილან და გვიმსუბუქებენ სინამდვილის ახლართულ და ძნელ ყოფას... რას არ ნახავთ ამ გამოფენებზე- ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვებით გაკეთებული სამკაულებიდან დაწყებული, ხის ნაკეთობებით, ნახატებით, ფოტოსურათებით, თექაზე შესრულებული აქსესუარებითა ფერადი ყელსახვევებით თუ ხელთნაკეთი სათამაშოებით და სხვა თვალისმომჭრელი ნივთებით დამთავრებულს...

სწორედ ერთ ასეთ კულტურულ ღონისძიებაზე, ხობში, გავეცანი უნაკლო ხელობით შესრულებულ ნამუშევრებს, რომლებმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს გახლდათ ტილოზე შესრულებული ნაქარგობები, რომლებიც ჩასმული იყო ჩარჩოებში. ტილოებზე მითითებული იყო სახელი და გვარი, რომელიც ჩემთვის უცნობი იყო, მაგრამ კარგად დავიმახსოვრე...

ხელოვნება, ზოგადად მრავლისმომცველი და მრავალფეროვანია... ეს სფერო მოიცავს ყველაფერს, რისი გაკეთებაც კი შესაძლებელია ამ ქვეყანაზე, იგი ბუნებრივის საწინააღმდეგო მცნებაა და იტევს ადამიანის უკიდეგანო წარმოსახვის ფიზიკურ გამოხატულებად ქმნილ საოცარ ნაკეთობებს, მათ შორის ნაქარგობებს.

ქარგვა გამოყენებითი ხელოვნების დარგს მიეკუთვნება და ის ქალის ძირითად საქმედ ითვლებოდა ოდითგანვე. მის ტექნიკას ფლობდნენ, როგორც მაღალი, ასევე დაბალი ფენის წარმომადგენლები და თავიანთი ხედვების, ნიჭისა და ფანტაზიის მიხედვით ქმნიდნენ ულამაზეს ტანსაცმელებს, რელიგიური შინაარსის მოსართავებს, პანოებს, აქსესუარებს და ა.შ. აცოცხლებდნენ ბიბლიურ სცენებს, ხატებს, წმინდანთა სახეებს, მცენარეებს... თურმე ამ ნამუშევრებში ხშირად ამოიკითხებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილი, კულტურის ძეგლებში ფიქსირებული ქართული ორნამენტები. მე-19 საუკუნიდან ამ ნაქარგობებიდან აკეთებდნენ ორნამენტების ესკიზებს და ენახებოდა მომავალ თაობას.

პირველი პუბლიკაცია ქარგვის თემაზე გამოქვეყნდა ჟურნალ „ევერიაში“, რომელიც მიეძღვნა ტაბოლსკში არსებულ ნაქარგობას ქართული გარდამოხსნის შესახებ. ეს გარდამოხსნა დაკარგულია და მხოლოდ სტატიაში გამოქვეყნებული სურათი ამტკიცებს მის არსებობას. ასე მოაღწია, სამწუხაროდ, ბევრი ნამუშევრის შესახებ ცნობებმა ჩვენამდე.

საქართველოში საქარგავი ცენტრებიც კი არსებულა, ზოგან ეკლესიებისა და ზოგან დიდგვაროვანთა სასახლის კარზე. მიუხედავად ასეთი გავრცელებულობისა, ფიქრობენ, რომ ქარგულობის სამშობლო მაინც აღმოსავლეთია, კერძოდ კი ჩინეთი, თუმცა საბერძნეთსა და რომშიც ადრეული პერიოდიდან აითვლება მისი წარმოშობის ისტორია.

საქართველოშიც ქარგვის განვითარებას დიდი ხნის ისტორია აქვს და ფიქრობენ, რომ ის იწყება იმ დროიდან, როდესაც ნემსის ნაცვლად მამონტის წვრილ ძვალსა და ძაფის მაგივრად ნანადირევი ცხოველების მყესებს იყენებდნენ. მას შემდეგ ბევრჯერ შეიცვალა, როგორც სამუშაო იარაღები, ასევე გამომსახველობითი უნარები და ტექნიკაც და დღეს ულამაზეს გვირისტებად ქცეული გემოვნებიანი ნამუშევრები ატკბობს თანამედროვე ესთეტებს.

ხობელი ხელოვანის ნამუშევრებს–ნაქარგობებს, რომლებსაც გამოფენაზე გავეცანი ასეთი წარწერა ჰქონდა: „მთვარისა სერგიას ნამუშევრები“–ამ პიროვნებას ბევრი თქვენგანი ალბათ იცნობს, რადგან ბევრი მოსწავლის აღმზრდელი და დამკვალიანებელია, მაგრამ ალბათ ბევრმა არ იცის, როგორი ესთეტიზმით სავსე ნამუშევრები აქვს შექმნილი და საიდან დაიწყო მის ცხოვრებაში ეს ჯადოსნური გზა.

ერთ დღეს ტელეფონით დავუკავშირდი, მოკრძალებით ვთხოვე მისი ნამუშევრები გაეცნო ჩემთვის, სიამოვნებით დამეთანხმა და ასე შემიყვანა თავის ულამაზეს სამყაროში...

ვინ არის მთვარისა ჯაკონია-სერგია?–ქალბატონი მთვარისა ხობის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში დაბადებულა 1950 წლის 3 იანვარს, მოსამსახურის ოჯახში. მამამისი–აპოლონ ჯაკონია, ჯერ აფხაზეთში გერანის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი ყოფილა, ხოლო მოგვიანებით, პენსიაზე გასვლამდე, ძველი ხიბულის საბჭოს მდივანი.

დედა–ეთერი კიტია დიასახლისი ყოფილა, მაგრამ წიგნისმოყვარეობით გამორჩეული. შვილისთვის ბავშვობიდანვე ჩაუნერგავს წიგნთან მეგობრობის აუცილებლობა. ჭრა-კერვაც უსწავლებია მისთვის და ქარგვაც.

მთვარისას პატარაობიდანვე მოსწონებია ხელსაქმე და სკოლაში სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში, მისი შეკერილი და ამოქარგული კაბებით შემოსილი თოჯინები და ნაქარგობები სასკოლო გამოფენებს ამშვენებდა. მეხუთე კლასელი მთვარისა, თვითონ იკერავდა კაბებს და თავის დებსა და კლასელებსაც სიამოვნებით მოსავდა მისი შეკერილი სკოლის ფორმებით.

მოდის ჟურნალებს თურმე მამა აცნობდა, საიდანაც იღებდა თარგებს, დამოუკიდებლად ერკვეოდა ნახაზებში და უკვე მეშვიდე კლასელ გოგონას პროფესიონალურ დონეზე შეეძლო დამოუკიდებლად ჭრა-კერვაც და ქარგვაც.

სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა გაუგრძელებია ქ.სოხუმის ა.მ. გორკის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტში, დაუმთავრებია პედაგოგიური ფაკულტეტის სრული კურსი დაწყებითი კლასების სპეციალობით. ინსტიტუტში დაუსწრებლად სწავლის პარალელურად სოხუმის ერთ-ერთ სამკერვალო ატელიეში დაუწყია მუშაობა. აქ დაოსტატებულა. ატელიეს ხელმძღვანელობას არ გამოპარვია მისი შესრულებული ნამუშევრების სინატიფე და მიუციათ მისთვის სპეციალური შეკვეთები, რომლის შესრულების შემდეგ, ქალბატონ მთვარისას მიერ შეკერილი მამაკაცის პიჯაკები და ქურთუკები იყიდებოდა, როგორც სოხუმის, ასევე საზღვარგარეთის სხვადასხვა ქალაქის მაღაზიებში.

ქალბატონმა მთვარისამ ინსტიტუტის დამთავრების შემდგომ განათლების სფეროში დაიწყო მუშაობა. იგი წლების განმავლობაში ასწავლიდა ჯერ ხობის №2 საშუალო, ხოლო შემდგომ საჯარო სკოლაში. გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით. მისი მოსწავლეები მასწავლებლის მხრიდან იღებდნენ შემოქმედებითი განვითარების მეტ შესაძლებლობებს, ვიდრე ჩვეულებრივ შეიძლებოდა ჰქონოდათ. მთვარისა მასწავლებელი მრავალ ტრენინგგამოვლილი, საპილოტე პროგრამებში აქტიურად ჩართული, ასრულებდა მათემატიკის ქოუჩის მოვალეობას და ამ პროფესიულ განვითარებასთან ერთად, ატარებდა ბავშვებისთვის მხატვრულ ღონისძიებებს.

ხელოვნება მარტო თავისთავად კი არ არსებობს, დიდია მისი ზეგავლენა ადამიანის შესაძლებლობებზე და თუ ადამიანი პროფესიულად სხვა მიმართულებით ყალიბდება, ხელოვნების ნიჭი და შემოქმედება ალამაზებს და უფრო აღრმავებს პროფესიონალიზმს სხვა მიმართულებითაც... სწორედ ასე იყო ქალბატონ მთვარისას შემთხვევაშიც... მისი საქმიანობები ხშირად შუქდებოდა პრესის ფურცლებზე. მის მიერ გაწეული შემოქმედებითი და სასწავლო- აღმზრდელობითი საქმიანობის მაღალპროფესიონალურ დონეზე შეთავსებისთვის მთვარისა ჯაკონია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას არაერთხელ დაუჯილდოებია და მადლობა გამოუცხადებია. დღესაც ახსოვთ მისი „პრინცესა არითმეტიკის მეჯლისი“, „ციცქნა იას დღეობა“, ანბანთქებები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, მონაწილეობას იღებდა სასკოლო გამოფენებში... ერთი სიტყვით, მისი შესაძლებლობები და უნარები კარგად რეალიზდა, ჩამოყალიბდა, როგორც გამორჩეული პედაგოგი, რისთვისაც ორჯერ აქვს მიღებული „წლის საუკეთესო მასწავლებლის“ წოდება. მისთვის არ არსებობს თავისუფალი დრო. სწავლებასთან ერთად, მუდამ ეწევა შემოქმედებით საქმიანობას–ქარგვას, ხანაც მულტფილმის გმირებს აცოცხლებს, ხან ფილმის გმირებს, ხან კიდევ თვითონ, თავისი ფანტაზიით ქმნის ულამაზეს სურათებს და ატკბობს ხელოვნების მოყვარულებს.

თავის შემოქმედებასაც უფრო საბავშვო თემატიკას უკავშირებს, თუმცა აქვს სხვა ხასიათის ნამუშევრებიც, საინტერესო და მშვენიერი.

ქალბატონ მთვარისას ნამუშევრები განსაკუთრებულად დასაფასებელია იმ თვალსაზრისითაც, რომ დღეს ეს ხელობა უფრო იშვიათდება. ოდითგანვე ქარგვა ქართველი ქალების საყვარელ ხელსაქმედ ითვლებოდა და მათი ოსტატობა ამ სფეროში ცნობილი იყო. მაგრამ ჩვენში ეს ტრადიცია თანდათან მიყუჩდა, რაც ძალიან დასანანია. ხობის მუნიციპალიტეტში არის კიდევ რამოდენიმე ნიჭიერი შემოქმედი ქალბატონი, რომელთა ნამუშევრები ნებისმიერ გამოფენას დაამშვენებდა, მინდა მათ მოვუწოდო, რომ ასწავლონ მათ შვილებს, შვილიშვილებსა და ახლობლებს ეს ულამაზესი საქმე, გაიჩინონ მოსწავლეები და თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ მეტსა და მეტ ახალგაზრდას...

ქალბატონ მთვარისას ნამუშევრების გამოფენა ბევრს გვინახავს სხვადასხვა სივრცეებში, მინდა ისევ გააგრძელოს ეს ტრადიციული საქმიანობა და უფრო მეტ ადამიანს გაუზიაროს თავისი ხელოვნების საიდუმლოებები.

დღეს, გაზეთის მეშვეობით, მინდა გავაცნოთ მისი ლამაზი და ნატიფი ნამუშევრები იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც ჯერ არ უნახავთ, რომ გაჩნდეს მათში მოტივაცია ამ გზის გაგრძელების და განვითარებისა.

ქალბატონ მთვარისას კი მინდა მოვეფეროთ და დიდხანს სიცოცხლე და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა ვუსურვოთ. იმედი მაქვს, კულტურული მემკვიდრეობის ეს სანიმუშო ქმნილებები არ დაკარგავენ ხიბლს და ბევრ მიმდევარს გაიჩენენ.

ნინა ბუკია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი.

რედაქტორი–ბეჭან ნადარაია. ტელ: 579-72-61-72
სარედაქციო კოლეგია:
მერი ლაგვილავა–პასუხისმგებელი მდივანი, ნანი კილასონია–ჟურნალისტი, გოგიტა ჩიტაია, გოგი ბუკია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ნინა ბუკია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში (დირექტორი კობა კობახიძე). ტელ: 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.